UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

ყველა ადამიანი, ვისაც არ შესრულებია 18 წელი
ითვლება ბავშვად

არა ბავშვთა ქორწინებას!

რა არის ადრეულ ასაკში ქორწინება?

ადრეულ ასაკში ქორწინება არის ორი ადამიანის თანაცხოვრება, რომელთაგან ერთ-ერთი არასრულწლოვანია. ადრეულ ასაკში ქორწინება არის ადამიანის უფლებების დარღვევა და მავნე პრაქტიკა, რომელიც ხელს უშლის მათ იცხოვრონ ყოველგვარი ძალადობისგან თავისუფალ გარემოში.

რატომ არის საზიანო ადრეულ ასაკში ქორწინება?

ადრეულ ასაკში ქორწინების დროს ხშირად ხდება განათლებისა და ჯანმრთელობის უფლების შეზღუდვა. უარის თქმა განათლების მიღებაზე იწვევს უმუშევრობას და ეკონომიკურ პრობლემებს. ადრეულ ასაკში ქორწინება, ხშირ შემთხვევაში წარმოშობს რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ასევე მაღალია ოჯახში ძალადობის რისკი.

რა შემთხვევაშია დასჯადი ადრეულ ასაკში ქორწინება?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლი დანაშაულად აღიარებს სრულწლოვანის სქესობრივ კავშირს 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან **და ისჯება კანონით!**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე პრიმა მუხლის მიხედვით, ქორწინების იძულება **ისჯება კანონით!**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მიხედვით თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მოტაცება) **ისჯება კანონით!**

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი ნებისმიერი იძულებითი ქმედებისგან, რაც საზიანოა მისი განვითარებისთვის

თუ ფიქრობთ რომ თქვენი უფლება დაირღვა შეგიძლიათ მიმართოთ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **112**
ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზს **111**
სოციალური მომსახურების სააგენტოს **1505**
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს **1481**
ან დარეკოთ ოჯახში ძალადობის ცხელ ხაზზე **116006**
ასევე შეგიძლიათ მიმართოთ სკოლას